მთიანი ტერიტორიების მოსახლეობის ეკო-კულტურა
(ფშავ-ხევსურეთის მაგალითზე)

თამარ ფილაური
tamar.pilauri380@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირიN1

ანოტაცია

ეკოლოგიური კულტურა ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის თანამედროვე გააზრება. დედამიწის ზედაპირზე რელიეფის ფორმების და კლიმატის მრავალფეროვნება განაპირობებდა მასთან შეგუების სხვადასხვა ფორმებს,რაც თავის მხრივ უკავშირდება განსხვავებული ეთნოსების ჩამოყალიბებას. გეოგრაფიული მახასიათებლები განაპირობებდა იმას თუ სად და როგორ იცხოვრებდა ადამიანი.

ფშავ-ხევსურეთის მხარე გამოირჩევა რელიეფის სირთულით და მკაცრი კლიმატური პირობებით. ასევე მთებში მცხოვრები ხალხები ბუნებრივი ბარიერებით - მთებით იყვნენ გარშემორტყმულნი. შესაბამისად აქ კულტურული ასიმილაციის დაბალი მაჩვენებლი ფიქსირდებოდა. აღსანიშნავია, რომ ფშავ-ხევსურეთში მცხოვრებ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ხევსურებს საუკუნეების განმავლობაში შეზღუდული კავშირი ჰქონდათ ბართანაც, შესაბამისად მათი ცხოვრების წეს-ჩვეულებები, მეურნეობა, არქიტექტურა, ხალხური მედიცინა დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების საფუძველზე დადგინდეს. თუ რა ზეგავლენას ახდენდა ფშავ-ხევსურეთის კლიმატი, რელიეფი, ნიადაგები და წყლები ადგილობრივი ეკო-კულტურის ჩამოყალიბებაზე. როგორ ეგუებოდნენ და გარდაქმნიდნენ გარემოს ამ მხარეში.

სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება პირველი ნაბიჯად ჩაითვალოს საქართველოს მთიანი ტერიტორიების მდიდარი ეკოლოგიური კულტურის შესწავლის და წარმოჩენის საქმეში. შემდეგ კი შეიძლება შემუშავდეს გეგმა, თუ რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან მთის მოსახლეობის შთამბეჭდავი ეკო-კულტურის შესანარჩუნებლად და გამოცდილების გამოსაყენებლად.